



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 366

ქალაქი ქუთაისი 2 მარტი 2017 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდობის გამზირის მიმდებარედ (ნაკვეთი № 2), საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდობის გამზირის მიმდებარედ (ნაკვეთი №2), საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების წინასაპროექტო კვლევის მასალები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 15 თებერვლის №01/3566 წერილით, შესათანხმებლად გაეგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VI თავის 32-ე მუხლის შესაბამისად განიხილა საპროექტო დოკუმენტაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემასთან დაკავშირებით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 8 აპრილის №1-1/196 ბრძანებით დამტკიცებული დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს გადაწყვეტილებით, თანახმაა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე, გაიცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 22-ე მუხლისა და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდობის გამზირის მიმდებარედ (ნაკვეთი №2), საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

/ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება და მისი შემუშავებისათვის წინასაპროექტო კვლევის მასალები წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის/

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრამის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი